ზექა კოზახიძე

რეცენზია ჯაბა სამუშიას სტატიაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახური

ჯაბა სამუშიას სტატია „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახური“ დაიბეჭდა თსუ-ის „შრომების“ მეექვსე ტომში, გვ. 321-330.[1] სტატიის სათაური ძალიან ფართოა და ის საკითხის სადოქტორო დისერტაციის ან მონოგრაფიის დონეზე შესწავლას მოითხოვს. შესაბამისად, სრულფასოვანი კვლევა ვერაფრით უნდა ჩაეტია ავტორს ერთ სტატიაში. ფუნდამენტური სტატიები, დასავლურ მეცნიერებაში, 20-დან 30 გვერდამდე მერყეობს. ბნ. სამუშიას სტატია არის სულ 10 გვერდი. აქედან ერთი გვერდი ინგლისურ რეზიუმეს ეთმობა; პირველ სამ გვერდზე ავტორი კომპილაციურ რეზიუმეს გვთავაზობს და გვიყვება ინტერპარტიულ საბჭოზე, ამიერკავკასიის სეიმზე, ფედერაციაზე, კომისარიატზე. ამ თემებს საკვლევ საკითხთან პირდაპირი კავშირი არ აქვთ და თითქოს ჩანს, რომ ავტორს საკმარისი მასალა არ აქვს და ცდილობს რაღაცნაირად გაზარდოს სტატიის მოცულობა. მეოთხე გვერდზე საგარეო საქმეთა მინისტრების ბიოგრაფიებია მოცემული, რაც გურამ შარაძის წიგნიდან „უცხოეთის ცის ქვეშ“ არის გადმოწერილი. ვერ ვიტყვი, რომ თუნდაც მინისტრების კარგად ცნობილი ბიოგრაფიების გადმოწერას მოითხოვდა საკვლევი თემა.

ანუ, თუ 10 გვერდს გამოვაკლებთ ინგლისური დასკვნის ერთ გვერდსა და შესავლის ოთხ გვერდს, გამოდის, რომ ბნ. სამუშიამ თემა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახური“ დარჩენილ ხუთ გვერდში გამოიკვლია და მოილია. თუმცა, არც კომპილაციური პირველი ოთხი გვერდია უცოდველი. მესამე გვერდზე ავტორი წერს, რომ აკაკი ჩხენკელი საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობდა 1919 წლის დასაწყისამდე, შემდეგ კი აზუსტებს, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე (თებერვალი).

რეალობაში, 1918 წლის ივნისიდან ნოემბრამდე ჩხენკელი იმყოფებოდა ბერლინში, ამზადებდა სამოკავშირეო ხელშეკრულებას გერმანიასთან. მის არყოფნაში, თბილისში საგარეო მინისტრის მოვალეობა შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილს ჰქონდა შეთავსებული. ჩხენკელი ცნობილი იყო, როგორც გერმანული ორიენტაციის პოლიტიკოსი. ომში გერმანიის დამარცხებისთანავე (1918 წლის ნოემბერი) მთავრობამ ის მოხსნა თანამდებობიდან და სთხოვა, რომ ჩრდილში დარჩენილიყო, რადგან ძალიან იყო „გაშავებული“ და ანტანტის (მოკავშირეთა) წარმომადგენლებთან მისი გამოჩენა არ შეიძლებოდა.[2] იგივე ბედი ეწია მეორე პროგერმანელს, სკანდინავიაში წარმომადგენელ მიხაკო წერეთელს. არქივებში ძებნაც არ არის საჭირო, არაერთ წიგნში არის აღნიშნული, რომ ევგენი გე-

1 იხ. ბმული http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/SHROMEBI-6/19.%20Jaba%20Samushia.pdf

2 სცსა ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 53, ფურც. 4

გეჭკორი საგარეო საქმეთა მინისტრად უკვე 1918 წლის ნოემბრიდან დაინიშნა.[3] თუმცა, არქივებისა და წიგნების გარეშეც, თემაში ჩახედული სპეციალისტისთვის არ არის ძნელი მისახვედრი, რომ ბერლინში მყოფ საგარეო საქმეთა მინისტრს თანამდებობაზე 1919 წლის თებერვალ-მარტამდე არავინ გააჩერებდა, როდესაც 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოში ომში გამარჯვებული ბრიტანული ჯარები შემოვიდნენ.

საკუთარი სტატიის მეხუთე გვერდზე ბნ. სამუშია წერს: „საგარეო უწყების თანამშრომლებისა და უცხოეთში საქართველოს წარმომადგენლების უმრავლესობას დიდი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდათ იმპერიის მასშტაბით, ამიტომაც მათ ადვილად აუღეს ალღო დიპლომატიურ საქმიანობას." ავტორი არც გვარებს ასახელებს, არც სქოლიოში წყაროს უთითებს და ცოტა გაუგებარიც არის რა აქვს მხედველობაში. აქ ის თუ პარტიული კადრების იატაკქვეშა მუშაობას გულისხმობს, ვერ ვხვდები რა შუაშია ეს დიპლომატიურ სამსახურთან; თუ გულისხმობს, რომ ქართველები მასობრივად მუშაობდნენ რუსულ დიპლომატიაში, ძალიან ცდება. სულ ოთხი ადამიანი იყო ქართულ დიპლომატიაში (და არა წამყვან პოზიციებზე), ვისაც მეტ-ნაკლები გამოცდილება ჰქონდა დიპლომატიური მუშაობისა: ზურაბ ავალიშვილმა საერთაშორისო სამართალში დაიცვა დისერტაცია, კონსტანტინე ჯაყელი რუსეთის კონსული იყო ლივერპულში, მიხეილ სუმბათაშვილი ფრანგულ წითელ ჯვარში მუშაობდა ალჟირში, ხოლო დავით ღამბაშიძე რუსული სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელი იყო ბრიტანეთში. ქართულ დიპლომატიაში დასაქმებული იყო ასეულობით ადამიანი და ეს ოთხი ცხადია ვერ შექმნიდა „უმრავლესობას", როგორც ამას წყაროზე მითითების გარეშე აცხადებს ავტორი.

მეშვიდე გვერდზე ბნ. სამუშია აცხადებს, რომ საქართველომ 1918 წლიდან დაიწყო ევროპის ქვეყნებში საელჩოების შექმნა. სინამდვილეში, საელჩოს ვერ შექმნის და გახსნის სახელმწიფო, რომელიც იურიდიულად არ არის მასპინძელი ქვეყნის მიერ აღიარებული. შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას ორი საელჩო ჰქონდა ევროპაში: 1920 წლის სექტემბრიდან ბერლინში და 1921 წლის თებერვლიდან პარიზში. სავარაუდოდ, აქ ავტორი გულისხმობს იმ არაფორმალურ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, რომელიც საკმაოდ ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ევროპაში. როდესაც სამეცნიერო სტატიას წერ დიპლომატიურ სამსახურზე, ამ ტერმინოლოგიასა და დეტალებში გარკვევა აუცილებელია.

იმავე გვერდზე ავტორი აცხადებს, რომ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები ჰყავდა არგენტინაში და აშშ-ში. საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდ ნომერ 1864-ში ორი აღწერაა, ათასზე მეტი საქმითა და ათიათასობით საარქივო ფურცლით. ყველაფერი დეტალურად არის გაწერილი და დალაგებული: თითოეულ ქვეყანაში წარმომადგენლობათა მუშაობა, ფინანსური ანგარიშები, პირადი წერილები და ა.შ. ბნ. სამუშიას, სტატიაზე მუშაობისას, ეს დოკუმენტები ზედაპირულადაც რომ შეეთვალიერებინა, დაინახავდა, რომ არც არგენტინაში და არც აშშ-ში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა არ ჰქონია.

მომდევნო, მერვე გვერდზე ავტორი წერს: „აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნებში ყველგან არ იყო საელჩო, როგორც ასეთი. ძირითადად, საელჩოს ფუნქციებს ასრულებ-

3 მაგალითისათვის იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური გამოცემა Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис: Типография Правительства Грузинской Республики, 1919 год, 451 გვერდიდან

და წარმომადგენლობები. გარდა ამისა, პარიზში ფუნქციონირებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საინფორმაციო ბიურო." ზემოთ უკვე ვთქვი სად მდებარეობდა ევროპაში ორი ქართული საელჩო, მაგრამ ავტორი არ განმარტავს სად იყო საელჩო და სად წარმომადგენლობა, რა სხვაობაა მათ შორის. პარიზში საინფორმაციო ბიურო კი არა, მთავარი დიპლომატიური მისია იყო მივლინებული, რომელსაც არამხოლოდ საინფორმაციო ბიურო, არამედ მთელ ევროპაში გაბნეული წარმომადგენლობები ექვემდებარებოდა 1919-1920 წლებში.[4]

იმავე გვერდზე ჯ. სამუშია აცხადებს, რომ პოლონეთს თბილისში ჰქონდა საელჩო და ელჩი იყო ოსტროვსკი (საერთოდ, აკადემიური წერის წესია, როდესაც გვარს პირველად ახსენებ, სახელიც აუცილებლად უნდა მიუთითო, რაც ავტორს არ აქვს დაცული). ვაცლავ ოსტროვსკი არ ყოფილა ელჩი, ის იყო არაფორმალური წარმომადგენელი. პოლონეთს საელჩო, ასეთი ფორმალური სახით, არასდროს გაუხსნია (Mądzik 1991, 16-25).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავტორმა ნახა სამი საარქივო საქმე, კერძოდ 1864-ე ფონდის, 1 აღწერის 91, 126 და 127 საქმეები, თუმცა სამი საქმე ხშირად მხოლოდ ერთი სქოლიოსთვის არის ხოლმე საჭირო, ხოლო ფუნდამენტურ სტატიებს 30, 40, 50 საქმის გამოყენება სჭირდება. შესაბამისად, ბნ.-მა სამუშიამ ორ გვერდზე (მე-6 და მე-7 გვერდებზე) ამოწურა ამ სამი საქმით სათქმელი და ბოლოს უკვე უცხოური დაზვერვის მუშაობაზე გადავიდა, რასაც არ ვფიქრობ რამე საერთო აქვს საქართველოს დიპლომატიურ სამსახურთან.

ავტორი, ბოლო, მე-9 გვერდზე უსაფუძვლო სპეკულაციას ეწევა და აღნიშნავს, რომ სავარაუდოდო საქართველოს ევროპაში ჰყავდა დაზვერვის სამსახურიო, მაგრამ ალბათო ეს სამსახური ძლიერი არ იყოო. ცხადია წყაროზე მითითებას არ აკეთებს და ვერც მიუთითებს, რადგან ასეთი წყაროები არ არსებობს. ბნ. სამუშიას უფრო მედიევისტად იცნობენ სამეცნიერო წრეებში, მაგრამ მას უნდა ესმოდეს რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია არ არის მედიევისტიკა. საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიას წყაროთმცოდნეობითი ბაზის პრობლემა ნაკლებად აქვს. აქ ყველაფერი აღწერილია და დაარქივებული, ლამის ყოველი საათი ქვეყნისა თუ მისი საგარეო უწყების ცხოვრებისა. არ შეიძლება ისევე სპეკულაციურად და ვარაუდით ვისაუბროთ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, როგორც, მაგალითად, დავით აღმაშენებლის „მსტოვრებზე". ეს სხვა დრო და ეპოქაა. „დიდ ალბათობებზე" და „სავარაუდოობაზე" დამყარებული ასეთი მსჯელობა არის არამეცნიერული მიდგომა. წყაროების არარსებობაც რომ გვერდზე გადავდოთ, ეპოქის მცოდნე მეცნიერმა კარგად უნდა იცოდეს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არავითარი რესურსი არ ჰქონდა ევროპაში სადაზვერვო ქსელის ქონისა.

გურამ შარაძემ ჯერ კიდევ 1990-იან წლებში ჩამოიტანა საქართველოში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ე.წ. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. იმავე პერიოდიდან მოყოლებული, ქართველი მეცნიერები (მაგ. ილია ტაბაღუა, ლოლა სარალიძე და სხვები) სპეციალური დანადგარის გამოყენებით ეცნობოდნენ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდის დოკუმენტებს, იმას რასაც დღეს 1864-ე ფონდის მეორე აღწერა ჰქვია. 2012 წლიდან მე პირადად დავიწყე აღნიშნული აღწერის ფურცლოვან ვერსიაზე მუშაობა.

4 პარიზში დიპლომატიური მისიის საქმიანობისა და მისგან ქართული დიპლომატიური წარმომადგენლობების კოორდინაციის შესახებ უფრო დეტალურად იხ. სცსა ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 129

2000-იან წლებში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა აკაკი რამიშვილის არქივი. მასში დაცულია საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ბრიტანული დოკუმენტების ასლები.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 2000-იანი წლებიდანვე ინახება პროფესორ ილია ტაბაღუას არქივი, ფრანგული და იტალიური დოკუმენტებით.

ბრიტანეთის ეროვნული არქივის[5], ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა[6] და იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორიის[7] საიტებზე ონლაინ იყო ხელმისაწვდომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლებზეც ჯერ კიდევ 2011 წლიდან ვმუშაობ. ბატონ სამუშიას ქვეყნიდან გაუსვლელად შეეძლო ყველა ამ მასალაზე წვდომა. დღეს ასეთი რესურსების რაოდენობა ბევრად უფრო დიდი და მდიდარია. იმედს ვიტოვებ, რომ ეს მინიშნებები მას გამოადგება მომავალ სამეცნიერო საქმიანობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

სამუშია, ჯაბა. 2012. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახური. *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI: 321-330*

Mądzik, Marek. 1991. Prace i materiały do dziejów stosunków gruzińsko-polskich, Pro Georgia I, pp. 16-25

5 The National Archives, http://www.nationalarchives.gov.uk/cabinetpapers

6 University of Wisconsin-Madison Libraries, https://search.library.wisc.edu/digital/AFRUS

7 Farnesina, *Ministero degli affari esteri e della cooperazione internazionale,* http://www.farnesina.ipzs.it/series/